საქართველო GEORGIA

ინდივიდუალური აუდიტორი თამაზ ბუკია

/პ/ნ: 19001054047/

INDIVIDUAL AUDITOR TAMAZ BUKIA

/P/N: 19001054047/

SARAS-A-807255 / www.saras.gov.ge/

კერძო და კონფიდენციალური
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს
ბატონ ლევან კობიაშვილს

ანგარიში ფაქტობრივ შედეგებზე

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი "ოდიში 1919"

ბატონო ლევან,

ჩვენ ჩავატარეთ თქვენთან შეთანხმებული პროცედურები ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი "ოდიში 1919" (შემდგომში ,,ლიცენზიის მაძიებელი" ან ,,კლუბი") დაკავშირებითი. ჩვენი სამუშაო განხორციელდა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოცემული დაკავშირებულ მომსახურებათა შესახებ საერთაშორისო სტანდარტის #4400 ,,გარიგებები ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე"შესაბამისად.

როგორც მოთხოვნილი იყო, ჩვენ შევასრულეთ მხოლოდ შეთახმებული პროცედურები და ამ პროცედურების ფაქტიური შედეგები ამ ანგარიშშია შეჯამებული.

ეს ანგარიში განკუთვნილია იმისათვის, რომ თქვენ დაგეხმაროთ 2023 წლის საფეხბურთო სეზონისთვის ლიცენზიის მაძიებლის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (შემდგომში ,,სფფ") კლუბების ლიცენზირების დებულების 49-ე, 50-ე, 51'-ე და 52-ე მუხლებით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის შეფასებაში.

ვინაიდან, შეთანხმებული პროცედურები არ განეკუთვნება აუდიტორულ ან მიმოხილვით გარიგებებს, რაც ხორციელდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე სახის რწმუნებას ლიცენზიის მაძიებლის სფფ-ის კლუბების ლიცენზირების დებულების 49-ე,50-ე, 50'-ე და 52-ე, მუხლებით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან შესაბამისობაზე.

რომ ჩაგვეტარებინა დამატებითი პროცედურები, საგადასახადო და ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ან მიმოხილვა, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ან მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ჩვენს ყურადღებას გავამახვილებდით სხვა საკითხებზე, რასაც წარმოვადგენდით სათანადო დასკვნის სახით.

ჩვენი დასკვნა განკუთვნილია მხოლოდ თქვენი ინფორმაციისთვის. აღნიშნული ანგარიში არ გამოიყენება სხვა რაიმე მიზნით ან სხვა რომელიმე მხარისთვის გადასაცემად. ანგარიში ეხება მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ შეთანხმებულ პროცედურებსა და პუნქტებს და არ ვრცელდება კლუბის მთლიან ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გარიგების პარტნიორი აუდიტორი თამაზ ბუკია

საქართველო, ზუგდიდი. შ. ჩილაჩავას 72 ა

28 სექტემბერი 2023 წელი

დანართი - შეთანხმებული პროცედურები, ჩატარებული პროცედურები და ფაქტობრივი შედეგები

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი "ოდიში 1919"

შეთანხმებული პროცედურები	ჩატარებული პროცედურები	ფაქტობრივი შედეგები
1.სფფ-ს კლუბების ლიცენზირების დებულების 49-ე მუხლით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან მიმართებაში		
ა) ლიცენზიის მაძიებლის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული ტრანსფერების ცხრილის მიღება სფფ-მიერ დადგენილი ფორმით.	ა) ჩვენ მოვიპოვეთ ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული ტრანსფერების ცხრილის მიღება სფფ-მიერ დადგენილი ფორმით.	ჩვენ არ მიგვიღია ცნობა სფფ-დან , რომელშიც აღნიშნული იქნებოდა სფფ-სთვის ცნობილი ინფორმაცია სხვა კლუბების მიმართ სატრანსფერო დავალიანების ან სადავო საკითხების შესახებ.
2. სფფ-ს კლუბების ლიცენზირების დებულების 50-ე მუხლით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან მიმართებაში		
ა) ლიცენზიის მაძიებლის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული თანამშრომელთა უწყისის მიღება სფფ-ის მიერ დადგენილი ფორმით	ა) ჩვენ მოვიპოვეთ სფფ-ის მიერ დადგენილი ფორმით მომზადებული თანამშრომელთა უწყისი.	შეუსაბამობა არ გამოვლენილა.
ბ) თანამშრომელთა უწყისში ჯამური თანხის შეჯერება 2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების "თანამშრომლებთან დაკავშირებულ ვალდებულებების" თანხასთან.	ბ) თანამშორმელთა უწყისის ჯამური თანხა შევუდარეთ 2023 წლის 31 აგვისტოს პერიოდისთვის მომზადებულ აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული საბალანსო მუხლის ''თანამშორმელთა მიმართ ვალდებულებების" ნაშთს.	შეუსაბამობა არ გამოვლენილა.

გ) კლიენტის მიერ განსაზღრული თანამშრომლების რაოდენობის დასტურის წერილების მიღება, შემოწმება და შედარება თანამშრომელთა უწყისში მოცემულ ინფორმაციასთან (არსებული დავალიანების თანხა, დავალიანების დაფარვის თარიღი და თანხა)	გ) მოვიპოვეთ სფფ-ის მიერ განსაზღრულ თანამშრომელთა (სფფ-ის ლიცენზირების დებულების მუხლი 27-40*ით განსაზღრული საკადრო ერთეულები და ამავე დებულებით განმარტებული მნიშვნელოვანი მმართველი პერსონალი) დასტურის წერილები და შევადარეთ თანამშრომელთა უწყისში მოცემულ ინფორმაციას.	შეუსაბამობა არ გამოვლენილა.
დ)2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით გადასახდელი თანხა, რომელიც ეხება თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ან იურიდიული ვალდებულებებიდან მიმდინარე წლის 31 აგვისტომდე წარმოქმნილ ვალდებულებებს. კლუბის ხელმძღვანელობის გამოკითხვა 31 აგვისტომდე: 1. მიღწეულია თუ არა შეთანხმება გადახდის გადავადების შესახებ. 2. ხომ არ წარმოიშვა/დავა საჩივარი/სასამართლო პროცესი.	2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით თანამშრომელთა მიმართ დავალიანებები არ გააჩნია საჩივრის/სასამართლო დავის არსებობა არ ფიქსირდება.	
ე) გადახდების დამადასტურებელი ყველა ან შერჩევითი საბანკო ამონაწერების შემოწმება	შეუსაბამობა არ გამოვლენილა.	
3. სფფ-ს კლუბების ლიცენზირების დებულების 50'-ე მუხლით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან მიმართებაში		

ა) კლუბის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული საგადასახადო ცხრილი მიღება სფფ-ის მიერ დადგენილი ფორმით.	ა) ჩვენ მოვიპოვეთ სფფ-ის მიერ დადგენილი ფორმით მომზადებული საგადასახადო ცხრილი.	შეუსაბამობა არ გამოვლენილა.
ბ) საგადასახადო ცხრილში ჯამური გადასახდელი თანხის შეჯერება 2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით წლიური ფინანსურ ანგარიშგების „საგადასახადო ვალდებულების“ თანხასთან.	ბ) საგადასახადო ცხრილის ჯამური თანხა შევადარეთ 2023 წლის 31 აგვისტოსთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული საბალანსო მუხლის „საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება“ ნაშთს.	შეუსაბამობა არ გამოვლენილა.
გ) კლუბის ხელმძღვანელობის გამოკითხვა 2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით არსებულ საგადასახადო ორგანოების მიმართ გადასახდელ თანხასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან ან იურიდიულ ვალდებულებებთან დაკავშირებულ გადასახადებს და რომელიც წარმოიქმნა 2023 წლის 31 აგვისტომდე: 1. მიღწეულია თუ არა შეთანხმება გადასახადის გადავადების შესახებ; ან 2. ხომ არ წარმოიქმნა დავა/საჩივარი/სასამართლო პროცესი	ჩვენ მოვიპოვეთ საგადასახადო შედარების აქტი 2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით. 2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით კლუბს არ გააჩნია საგადასახადო ორგანოების მიმართ გადასახდელი თანხა. საჩივრის/სასამართლო დავის არსებობა არ ფიქსირდება.	
დ) გადახდების დამადასტურებელი ყველა ან შერჩევითი საბანკო ამონაწერების შემოწმება	ჩვენ მოვიპოვეთ სახაზინო ამონაწერი და შევამოწმეთ 2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით არსებული საგადასახადო ორგანოების მიმართ გადასახდელი თანხების გადახდა. შეუსაბამობა არ გამოვლინებულა.	
4. სფფ-ს კლუბების ლიცენზირების დებულებების 52-ე მუხლით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან მიმართებაში		

ა) პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის არითმეტიკული სისწორის შემოწმება	ჩვენ კლუბისგან მოვიპოვეთ პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია	შეუსაბამობა არ გამოვლენილა.
	უნართან გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ,	
ბ) იმის შემოწმება, შეესაბამება თუ არა პერსპექტიული ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საწყისის ნაშთები უშუალოდ წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული საბალანსო უწყისის საბოლოო ნაშთებს.	პერსპექტიულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული სასტარტო პერიოდის მონაცემები უშუალოდ წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშებაში ასახული მონაცემების იდენტური.	შეუსაბამობა არ გამოვლენილა.
გ)იმის შემოწმება, არის თუ არა პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია ოფიციალურად დამტკიცებული ლიცენზიის მაძიებლის აღმასრულებელი ორგანოს მიერ.	ჩვენ შევამოწმეთ, რომ პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია ოფიციალურად დამტკიცებულია ლიცენზიის მაძიებლის მიერ.	შეუსაბამობა არ გამოვლენილა.

გარიგების პარტნიორი აუდიტორი თამაზ ბუკია

საქართველო, ზუგდიდი შ. ჩილაჩავას 72

28 სექტემბერი 2023 წელი